საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 11 დამატების № 3

შაბათი, 14 იანვარი, 1917 წ.

წმიდა ნინო.

მეფლნის ოცნება. ნახატი მენანისა.

სინათლის რძალი

ჩემი ფსალმუნი

გიხაროდეს ყოვლითა ტრფიალებითა შემკულო დედათა შორის
გიხაროდეს უზესთაესო შვებითა, რძალო სინათლისაო!

ძველის ლოცვებიდან.

წმინდა ხარ, როგორც მგოსნის სიზმარი...
წმინდა ხარ, ჩემო! წმინდა ხარ! ამინ.

„შვების თავადი“-დან.

შენ აღმოზრდილხარ თეთრ ზამბახად, დილის მზის სატრფოდ,
კდემით ჩაგიცვავს შუქის კაბა ჰაერონანი...
ზღაპრული მძივი ყელს გიმშვენებს, მკერდს უამბორებს.
სხივის სარტყელი დაგფრიალებს, წილს გინაონარებს.
გულის საბამი ვარდის ძუძუს ჩაჰკონებია. — — —
და ასე მოხვალ ღვთაებრივის დიდებულებით,
რომ სულის გზაზე მიმოჰფინო ოქროს ნათელი!.

შენ აღმოზრდილხარ თეთრ ზამბახად, ზაფხულის სატრფოდ.
სიბრძნის უშრეტი სიხარული შემოგიბურავს.
სიამოვნების სიოს ფლოსტი ფეხზე ჩაგიცვავს,
ნუგეშის სკიპტრა მიგიზიდავს ბრწყინვალე ხელში — —
და ასე მოხვალ ნათესავთა სულის წიაღზე,
რომ ღვთაებრივმა მიმოჰფინო სამღვთო ნათელი!

შენ აღმოზრდილხარ თეთრ ზამბახად, ნაზ მგოსნის სატრფოდ...
შენ ხარ სიმბოლო განწმენდილის ტრფიალებისა.
შენ დაგვანახვე უკვდავება სათნო თვალებში,
წმინდა ხარ, როგორც სიყვარულით მიმქრალი გრძნობა.
ტკბილი ხარ, როგორც უიმედო მიჯნურის კვნესა.
ტკბილი ხარ, როგორც ჩუმი ნატვრა შეყვარებულის.
წმინდა ხარ, როგორც ტანჯულ გულის გამოძახილი.
ასეთი მოხვალ ნათესავთა სულის ზარაზე,
რომ ღვთაებრივმა მიმოჰფინო წმინდა ნათელი!

შენ აღმოზრდილხარ თეთრ ზამბახად, ერის საუნჯედ...
ვიდრე გნახავდი, მეც ძველთაებრ წარმართი ვიყავ,
წარმართად დავრჩი, რადგან კერპი დღეს შენ ხარ ჩემი!
შენს სადიდებლად ვმღერი ლოცვებს, როს თვალს გარიდებ
და საღამოთი ვეხუტები შენს მოგონებას.
და გულში ვამბობ: გიხაროდეს უზესთაესო!
კვლავ ასე მოხვალ ღვთაებრივის დიდებულებით,
რომ სულის გზაზე მიმოჰფინო ოქროს ნათელი!

სანდრო შანშიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრათვალა მზის ქვეშ

რვეულიდან
„წერილები სატრფოსთან“.

აღმოსავლეთის ცხრა თვალა მზე მედიდურად ირწეოდა უსაზღვრო ცის ლაჟვარდში...

მზე გულუხვობდა, ვით მუდამ ჟამს, ამ ტურფა მხარეს. მწველნი სხივნი მძაფრად დაჭიმულიყვნენ და, ვით ნემსები, ჰკვეთებოდნენ ბრჭყვიალა მრავალრიცხოვან ქვიშას...

ყვავილი მათრობელი, მზის ტრფობითა გატაცებული, ეშხით იშლიდა გულმკერდს და უფენდა მზეს აღმოსავლეთისას...

თვით მზე გულუხვი ეშხით სავსეა და ვნებით ჰკოცნის დედამიწის გახურებულ გულმკერდს.

არც ზღაპრული ბაღი ღაეტოვებინა უყურადღებოდ და იქაც თვისი მწველი სხივი გაეტყორცნა.

იქ, შადრევანი, მიწის გულით აღმოხეთქილი, მზის სხივებზე აელვარებდა მარგალიტთა აკიდოს და თვის გარემო ჰფანტავდა სურნელოვან ყვავილთ ბაგეზე... მარმარილოს თხელი კედლები აელვარებდნენ წყლის ზედაპირს და მზის სხიენი კი ოდნავად აქანავებდნენ მის გულმკერდში ცელქ ჭყურპალობით... ალვისა ხენი კი ცათამდე ამართულიყვნენ.

და აქ, ამ ცხრა თვალა მზის ქვეშ, ზღაპრულ შადრევანის მეზობლად კისკისებდნენ აღმოსავლეთურ ვნების კისკისით ასული ლალისღიმილიანი და ჭაბუკი გიშრისთვალებიანი.

უცხოთ სტკბებოდნენ სიყვარულით.

ასული ლალისღიმილიანი შეუშვერდა ბროლის ხელს წამთა ციალს, მარგალიტათ მოაგროვებდა თვის ხელისგულზე და დააპკურებდა ობოლ ყვავილს.

— გიშრისთვალებიანო, ეს ყვავილთათვის იგივეა, რაც ჩემთვის ალერსი შენი...

და თვალებით იტყოდა უცხო სიმღერას, ვით ვარსკვლავი არაბეთის ღამისა.

ჭაბუკი კი, გიშრისთვალებიანი, გაიღიმებდა, ვით მზე აღმოსავლეთისა და ღრმა თვალებს თვისსას მილულავდა ისე, თითქოს შიგა ჰაჩანს გამოუცნობი დიდი სიბრძნე ინდოეთისო.

— ხომ იცი, მარად ჩემ სულში სცხოვრობ, ვით მზე ცის უსაზღვრო გულში, ალერსი რაღა საჭიროა?!.—

იტყოდა დაფიქრებული და მიეცემოდა გრძელ უსაზღვრო ფიქრებს, მომხიბვლელებს, ვით ლეგენდას აღმოსავლეთისას...

„მე კი ალერსი მწყურიან“... გაიელვებდა თავში ლალისღიმილიანი და შეჰხედავდა მზიურად. ნაზად გამოუქროლებდა და ზღაპრულად ჩასჩურჩულებდა...

— გიშრისთვალებიანო, შენ მზე ხარ ჩემთვის... ჯერ ის ცხრათვალა მზე, ვით თვის სხივებით ანიჭებს სიცოცხლეს იმ მათრობელ ყვავილს, ისე შენ მეც მანიჭებ. თუ სხივი მზისა არ ჩაეხუტა მის ლალის მკერდს, იგი გაფერმკრთალდება, გაჭკნება, ისე მეც ფერი მიმელევა თუ, ჩემო მზევ, ალერსი შენი სხივათ არ მომეკარა...

გაიღიმებდა, თმას შეუწეწდა ჭაბუკს, გიშრის თმიანს, და კისკისით გაეშვებოდა მზის სხივთა ქვეშე...

ჭაბუკი კი ბედნიერად, ვით მფლობელი სპარსეთისა, გაიღიმებდა და იტყოდა:

გაზაფხული

— და არ კი იცის, რომ თვით ის არის ჩემთვის მზე დიადი, ალერსი ჩემი მალე გაჰფურჩქნის, დააჭკნობს მალევე და მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ყვავილს მათრობელს მზე ცხოველი, თუმც უფრორე ლამაზად აყვავილებს მას...

ასე იტყოდა და ოცნებობდა.

მზე კი, ცხრათვალა, ეტრფოდა მიწას...

ცა აღმოსავლეთისა საიდუმლოდ ლაჟვარდობდა...

და შადრევანი იბნეოდა მრავალ ზურმუხტად...

ასული ლალისღიმილიანი კვლავ ეტყოდა ტრფობის ალერსს ჭაბუკს, გიშრისთვალებიანს.

ჭაბუკი იღიმოდა, ოცნებობდა მარტოოდენ...

—

და ეწვია ჭაბუკს, გიშრისთვალებიანს, მეგობარი პირმცინარი.

ხილვა მისი გაეხარდა. ჰზეიმობდა.

და შადრევანთან განცხრებოდნენ სამნი ერთად...

— რა ცელქი ხარ, ვით ნამი შადრევანისა.

იტყოდა პირმცინარი და ასულს, ლალისღიმილიანს, მიაპკურებდა შადრევანის ცრემლებს.

— რა მწველი ხარ, ვით ჩვენი მზე..

— სურნელოვანო, ვით ყვავილო, მათრობელო!..

და კისკისებდნენ...

ჭაბუკი შავთვალებიანი ჰმზერდა მათ და ოცნებობდა...

ოცნებობდა, ვით ევლინებოდა ადამიანი ახალ სახათ ამ სიცოცხლეს. თუ ვით სცოცხლობდა იგი აქამდე რომელსამე მთის ყვავილის გულ-მკერდში...

— გიშრისთვალებიანი რაზედ ჰფიქრობს?..

— იმან იფიქროს, ხელს ნუ შეუშლით, ჩვენ კი გავთელოთ ეს ყვავილნი ჩვენის ფეხით...

და ასული ლალისღიმილიანი დაჰქროდა ყვავილთა შორის, მზის სხივებში აბანავებდა თავის გულმკერდს, პირმცინარი კი ფიანდაზად ეფინებოდა...

მზე ცხოველი კვლავ ევლინებოდა ლაჟვარდ ცას და კვლავ ეთხოვებოდა.

პირმცინარი კვალად დაჰქრის ლალის ღიმილიანთან.

გიშრისთვალებიანი კვლავ ოცნებობდა. დრო გამოშვებით სული მისი უცნაურათ ატოკდებოდა და იტყოდა „ლალისღიმილიანი კვალად ჩემი იქმნება!“...

ორნი კი შორით ცელქობდნენ.

ავიწყდებოდათ, თუ ვით იქვე გიშრისთვალებიანი ოცნებობდა...

და როს იხილავდნენ, შეჰკრთებოდნენ.

მაგრამ კვალად ივიწყებდნენ:

— ჩვენ წავალთ, წავალთ აქედან, არა?..

— იქ, საცა მზე უფრო კარგა ანათებს და შადრევანი სიცოცხლეს უმღერს!..

— იქ, საცა მათრობელა უფრო მძლავრათ აკმევს სურნელს...

— ჩვენ წ ვალთ, წავალთ...

— გიშრისთვალებიანის ფიქრს ხელს არ შევუშლით,—

იტყოდნენ და მიდიოდნენ.

— მივდივართ უცხო ტკბილ მხარეს.

ესმოდა გიშრისთვალებიანს და ჰხედავდა, თუ ვით ორთავე ჰშორდებოდა მის ბაღს მშვენიერს.

ფიქრი-ოცნება უცბათ მოჰშორდა.

ლალისღიმილიანი მასა სტოვებდა.

ჰხედავდა, ვით ცხელ ქვიშაზე ბაღს იქით ხელჩაკიდულნი მიდიოდნენ სიცილ-კისკისით.

— თითქოს მზე ვიყავ მისთვის?.. ჰო, სხივი ჩემი ისე აშკარად არ უკოცნიდა იმას გულმკერდსა...

იტყოდა მხოლოდ, ვეღარ დაიბრუნებდა, ცრემლი კი მოსწყდა და მიეცა თავისა ფიქრებს...

ფიქრებს უსაზღვროს, სურნელოვან ბაღსას თავისას.

იქ კი, ცხელ ქვიშაზე ორი კისკისი კვალად ისმოდა.

მზე კი კვალად ჰქანაობდა—ცის უსაზღვრო სივრცეში.

კვალად სხივებს სთავაზობდა დედამიწას...

იქ, ქვიშაზე, ცხელ ქვიშაზე, მიდიოდნენ...

— ფეხი სიხლით შემღებია...

— ჯერ ბევრს ჰნახავ...

— პირმცინარო, მაჩვენე შენი ღიმილი...

— სიცხე მაწუხებს...

— შორია ჩვენი სამყოფი ტკბილი!..

სიჩუმე კვალად, არც კისკისი, მხოლოდ გავარვარებულ მზის სხივთა კრთოლვა.

ბაღში კი, შადრევნის გვერდით, გიშრისთვალებიანი თავის უძირო ფიქრით თვალსა ჰლულავდა...

ერთხელ კი მოჰკრა თვალი, იქ, ბაღს იქით, ცხელ ქვიშაზე, თუ ვით ლალისღიმილიანმა მოიხედა მის ბაღისკენ და თრთოლვით ხელი გაიშვირა.

ნ. კეცხოველი.

პატარა ბარათი

საკვირველია, ის არე-მარე, რომელსაც ეხლა მატარებლიდან გავსცქეროდი, შორიდან ისე უშნო და უგვანოდ გამოიყურეობოდა, რომ ვეღარ ვიცანი. სწორედ ის ადგილი, სადაც ისე ხშირად ვყოფილვარ და საიდანაც ისე ძლიერ მიყვარდა მზის ჩასვლის ცქერა, როცა იგი, კოცონის მზგავსად წითლად ანთებული, ზურმუხტ მწვერვალებს უმჩნევლად ეფარებოდა და უკანასკნელი სხივებით ცასა და დედა-მიწას მრავალ სახით და ფერადებით ჰმოსავდა,—ის ადგილი ისე ძლიერ რომ არ მყვარებოდა, მთელის არსებით რომ არ შემეთვისებინა, შორიდან ხომ არც კი შევაძჩნევდი?!.

ან რა შესამჩნევი იყო სადღაც, დამშრალ წყლის პირად ორიოდ ბუჩქი და უშნოდ მიყრილი დიდი ლოდები?!.

მატარებლიდან რომ გავიხედე, სიცილძა ამიტაცა, მაგრამ აშლილი მოგონებანი და აზრთა მსვლელობა ერთი-ერთმანეთა რომ შეეჯახნენ, როგორც გაზაფხულზე შავად აქოჩრილ ღრუბელთა მოოის ელვამ ჩამობნელებული არე-მარე გაანათოს, ჩემს გონებაში უეცრად დაბადებულმა აზრმა აღრენილი ჩემი გუნება ხათლით შემოსა და დააწყნარა.

აზრი, რასაკვირველია, ქვეყნად ახალი არ იქნებოდა, მაგრამ იგი, როგორც ჩემითვე შობილი—ძვირფასი და სასიხარულო იმისთვის იყო.

შორიდან უმწეო და შეუმჩნეველი—ახლო თავისი სილამაზით და ძშვენიერებით მთელის ქვეყნისათვის ბედნიერების მომნიჭებლად იცქირებოდა.

რამდენჯერ მე და შენ, ჩემო ლეო, მთელის ქვეყნის სივაგლახე დაგვიწყებია, რამდენჯერ მწარე ფიქრი წყლის ტალღების ბუტბუტისთვის გაგვიჭოლებია; რამდენჯერ ცის ლურჯ უფსკრულზე ობლად მოხეტიალე, ოქროს ვარაყით მოქარგულ ღრუბელს ყოველივე შავ-ბნელი ფიქრი აღტაცებად შეუცვლია; რამდენჯერ იდუმალებით მოჩურჩულე ვერხვების ფოთოლთა შრიალს ჩვენნი ფიქრნი გიჟურად მოუტანია და მსოფლიო ჰარმონიისთვის ჩაუქსოვია...

სადღა იყო მაშინ ულონო ჩივილი წუთისოფლის სიბრმავესა და სივაგლახეზე?! პირიქით, ყოველი არსი მაშინ

ფრიად დიდმნიშვნელოვანად ხდებოდა, სული განცდით მდიდრდებოდა და ფაქიზდებოდა.

ახ, რა დიდებულად მეზმანებოდა მაშინ ადამიანი, მისი გონება და მისი ნიჭი გრძნობისა, მაშინ ჩემთვის არავითარი გაჭირვება, არავითარი უბედურება აღარ სუფევდა; თვით ჩემი თავი იმ წამს ძლიერ არსებად მიმაჩნდა და ბევრჯერ, გრძნობით გატაცებულს, მთელ კოსმოსში თავი ღმერთად მიმაჩნდა, მთელ მსოფლიოში ყოველივე ჩემად მიმაჩნდა და იმავე დროს იმასაც ვგრძნობდი, ისიცა მრწამდა, რომ თვით ყოველსავეში ჩემს თავს, ჩემს არსებას ვპოვებდი.

დიახ, მდიდარი იყო ჩემი შეგნება, ჩემი გრძნობანი და ვერავინ შემედრებოდა.

ნეტა რისთვის?! ნუ თუ მართლა იმისთვის, რომ იმ ადგილს, რომელსაც ბევრი არც კი ამჩნევდა და არ იცნობდა,—მართლა ჩემზე ისეთი გავლენა ჰქონდა?! გახსოვს, ის ადგილი აკი პირველად მე მომეწონა, შენ ერთხელ კიდეც დამცინე და შემდეგ კი უკვდავ წამებს იქა ჰპოვებდი.

აი, ეხლა მატარებლიდან რომ გავყურებ—სიხარული იბადება ჩემს გულში, ბედნიერი ვარ, ძლიერ ბედნიერი... ნუ გაოცდები და ნურც გაიკვირვებ... ანალოგია, მოუსვენარი ანალოგია თავში უმალ მებადება, მთელი ჩემი არსება შუქით მოჰფინა და იმავ წამს ღრმა რწმენადაც შეიცვალა. ნუ თუ შენ არ დამერწმუნები, ნუ თუ არ გჯერა, რომ ადამიანის სულის გამოძებნა, მისის დიადი თვისების აღმოჩენა სწორედ აგრედვე შეიძლება?! შორით უშნო და ულაზათო, უმი და თითქოს სქელ კანიანი... მაგრამ თუ დაუახლოვდი და იმდენი ძალა შეგწევს, მის თვისებას დაუკვირდე და... გამოძებნო—დიად განძს ჰპოვებ, ძვირფასს საუნჯეს და შენ თვითვე ამაღლდები, შენივე ძალა გაორკეცდება, გამდიდრდება, გაფაქიზდება...

სულნი კი შორიდან ისე უნდონი და ისე უშნონი არიან...

ცქვიტი.

წერილი მეგობართან

მეგობარო, წერილი დამიგვიანდა, კი არ იფიქრო, რომ დამავიწყდი... არა, სამწუხაროდ არა... დიახ, სამწუხაროდ, რადგანაც მინდა, ძალიან მინდა დაგივიწყო, მაგრამ... როს მომაგონდება შენი ჯადოსნური, გრძნობათა გუბე-თვალები, მათი ცელქი წამწამების ღვთაებრივი ციმციმი, მაგონდები და... მწარე სინამდვილის მაგიერ ვეძლევი ტკბილ ოცნებას, სასიამოვნო ტანჯვას... რა კარგია ოცნება, ნეტა თუ შეეძლო ადამიანს უოცნებოდ სიცოცხლე... დღე ოცნება—ღამით სიზმარი—აი როგორ მიმდინარეობს, მეგობარო, დღენი ჩემის ცხოვრებისა... ოცნებას სცვლის სიზმარი, როგორც დღეს ღამე... სიზმარი კი უფრო ტკბილია დღით ოცნებაზე—დღე ადამიანთა ხმაურობა, ჩემს გარშემო მათი ფუსფუსი ჰფანტავს ტკბილ ოცნებას, ადამიანი... ოხ, საშინელებაა ადამიანი—ისე სწყურია ადამიანს თვისის მოძმის სისხლი, როგორც მშიერ სვავს... რა აფუსფუსებს ადამიანს, საით მიისწრაფვის, როდის მოისვენებს, სად ჰპოვებს მისი სული საუკუნო განსასვენებელს, ან რას ბობოქრობს აღელვებულ ზღვასებ, რომლის ტალღები ლამობენ გადმოხეთქონ ნაპრალს, მაგრამ დარცხვენილი უკანვე ბრუნდებიან, დამარცხებულნი ისევ ზღვას უბრუნდებიან... ან რა სურს ჩემგან ადამიანს, რად მიფანტავს შენზე ტკბილ ოცნებას? აქაც შური, ადამიანური შური—ეხარბება, ჰშურს ჩემი ოცნება, მაგრამ შენც ხომ ადამიანი ხარ, მეც, ისეთივე შავი გულით, თეთრი კბილით... მაგრამ... მაპატივე, მეგობარო, შენი გული ზღვაა სათნოებისა. მაგრამ... მე რომ დამივიწყე და აღარ უპასუხებ ჩემი ავადმყოფი სულის გამოძახილს? შენ კეთილი ხარ, გებრალება ყველა, ჩემს გარდა, მაგრამ გახსოვს, მეგობარო, შენ თვითონ რომ მიქ დაგებდი ყველა ადამიანისადმი თანაგრძნობას, ყველას სულის გამოძახილის გამოხმაურებას... კიდევ მაპატიე—ვიცი, შენც გიყვარს გულწრფილობა წინააღმდეგ შემთხვევაში—სიჩუმე; უკანასკნელ წერილში, მთხოვ გაგიზიარო ჩემი აზრი თანამედროვე მომენტის შესახებ,—რა გითხრა მეტი, რაც არ მითქვამს, იმედია, მეგობარო, იმედი, უნდა ღრმად გვწამდეს, გვქონდეს იმედი, რომ ასეთ ქარიშხალის შემდეგ აღმობრწყინდება ბრწყინვალე მზე, რომლის ცხოველის მყოფელი სხივები ჩვენი ერის დაკოდილსა და მკვნესარე გულშიაც შეაშუქებს, იქნებ მე და შენაც მოვესწროთ მაშვრალთა სამრეკლოდან შვების ზარის ხმის გაგონებას...

აი კიდევ ადამიანის ხმა. დამიჯერე ადამიანს შურს, ეხარბება, როცა მე შენზე ვფიქრობ, როცა შენ გწერ, მაგრამ... რა დამნაშავეა, მეგობარო, ეს საწყალი, უსინათლო ადამიანი, მას მოწყალება სჭირია, შველა, წერილს ხომ შემდეგაც განვაგრძობ... ეხლა მას დავეხმარები...

გრ. საქარიქედელი.

დედის ალერსი, ნახატი პეროლტისა.

ღვთისნიერი დედოფალი

(ლეგენდა)

ორი დიდი სახელმწიფო იყო თურმე წინედ ქვეყანაზე: აღმოსავლეთისა და დასავლეთის.

ომი, როგორც ახლა, მაშინაც ხშირად ხდებოდა: იხოცებოდა მილიონი ხალხი, ნადგურდებოდა საცხოვრებელი; იწირებოდა ყოველწლივ ურიცხვი მსხვერპლი... და გატყდა ხალხი წელში! ყველა იმაზე ფიქრობდა, როგორი საომარი იარაღი შემოეღო; როდის დასცემოდა მოწინააღმდეგეს თავზე; ან როგორ გამკლავებოდა მომხტარ მტერს, თუ კი თავს დაეცემოდა... კერძო საცხოვრებელის მოწყობისთვის არავის სცალოდა. მუდმივმა ომებმა ხალხი ისე გააღარიბა, რომ დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანსაცმელში გახვეულებს ლუკმა პურიც აღარ გააჩნდათ.

შვილდ-ისარ-შუბები კი ყველას საუცხოვო ჰქონდა!

ბოლოს, ერთ მეტად ფიცხელ ომის შემდეგ, როცა აღმოსავლეთის მეფეს ექვსი გმირი შვილი მოუკლეს, უბედურმა ამათმა დედამ ვეღარ გაუძლო დარდს და სასახლიდან გარეთ გაიჭრა: ან სადმე მხეცი შემჭამს, ან სიმშილწყურვილით ამომხდება სულიო.

შევიდა ერთ დაბურულ ტყეში. ამ დროს მოიღრუბლა, ატყდა ჭექა-ქუხილი; გავარდა რამდენჯერმე მეხი... სიცოცხლე მაინც ტკბილია! სუსტი ქალი შეკრთა და გამოქვაბულს შეაფარა თავი. აქ კვლავ იწყო ცხარე ცრემლით ტირილი, მითქმა; პირისახე მთლად დაიკაწრა... ბოლოს მისუსტდა და მიეძინა.

ნახა სიზმარი.

გამოეცხადა ვინმე ჭაბუკი, ბრწყინვალე თეთრ სამოსში. უთხრა: შენ ჯავრობ შენს ექვს შვილს. და ამასთანავე არ გაგონდება, რომ ამ ბედში მარტო შენ არა ხარ. ყველას შენსაგით უყვარს თავისი შვილი და აი იმათ დედების ცრემლთა მდინარე. (ქალმა გაიხედა და შეკრთა: უზარმაზარი მდინარე თავქვე გიჟურად მოექანებოდა და არე-მარეს ლეკავდა). და ეს ქნა ომმა. შენ ახლა ხომ იცი რომ ომი უბედურებაა! მაშ, ეკადე კვლავ მაინც არ განმეორდეს...

ჩვენება გაქრა. ამასობაში უკვე გათენებულიყო. ქალი წამოდგა და გამოექანა სასახლისკენ. მეორე დღეს დედოფლის რჩევით მეფემ მოუწოდა გამოჩენილ პირთ სადარბაზოდ. ყველა მოვიდა. ეგონათ, თუ ახალი ომი იყო მოსალოდნელი. და როცა გაიგონეს დედოფლის ხვეწნა-მუდარა: ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ კვლავ ომი არ განმეორდესო, გაოცდნენ. არ მიიღეს ქალის წინადადება! მეფეც წინააღუდგა: ომი იყო, არის და უნდა იქნესო. მაგრამ დედოფალი შეუჩნდა დაბოლოს, საქმე იმითი გათავდა, რომ მეფეც სულითა და გულით მოსურნე გახდა ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების დამყარებისა.

მხოლოდ საქმე ის იყო—როგორ გადაეგდოთ ომი.

დასავლეთის მეფესაც დაჰხოცოდა შვილები და ეს დედოფალიც მეტად გულმწუხარე იყო. ერთხელ ეს ორი დედოფალი ერთად შეიყარნენ. მდგომარეობამ შეაერთა ისინი და თავიანთი მწუხარება ერთმანეთს გულახდილად გაუზიარეს. დასავლეთის დედოფალმა მოიწონა აღმოსავლეთის დედოფლის აზრები და ისიც გულმხურვალეთ შეუდგა საქმეს. ერთ დღეს ორმავე მეფემ პირობა დასდო არ ეომნათ, აღმოსავლეთის დედოფალს ძლიერ უხაროდა ეს. მაგრამ... მგელს სახარებას უკითხავენ, ის მაინც ტყისკენ გარბოდაო! ხალხი შეტოტმანდა, შეინძრა: ჩვენ ომი გვჩევიაო. ბინ გული აღარ დაუდგათ და თავიანთ მეფეების სურვილის წინააღმდეგ წავიდნენ სათარეშოდ. კვლავ ასტყდა ბრძოლა, ომი... და მეფეებმაც კი გაისვარეს კვლავ ხელი სისხლითა.

ჩვენი დედოფალი საგონებელში ჩავარდა. დღე-ღამე იმაზე ფიქრობდა—რა საშუალება გამოენახა.

ბოლოს, ორი ბრძენი დაიბარა და რჩევა ჰკითხა.

ერთმა ბრძენმა სთქვა: საჭიროა ხალხიც დავარწმუნოთ იმაში, რომ ომი

ორი სტრატეგი: ვგონებ დროა ჩავერიოთ მსოფლიო ომში, თორემ უჩვენოთ ბრძოლის ბედი არ გადასწყდება.

ნეიტრალ სახელმწიფოთა მდგომარეობა.

ბოროტებაა. თორემ ერი მეფის წინააღმდეგ წავა და თავისას გაიტანსო.

მეორე ბრძენმა სთქვა: ეგ კარგი აზრია, მაგრამ საჭიროა სიყრმიდანვე ჩავაგონოთ ხალხს ეს აზრიო. ვერ შეთანხმდნენ და ისევ პირველი დებულება მიიღეს.

ბალე მოეფინა ორივე სახელმწიფოს გამოცდილი მქადაგებლები. ხალხი ჯერ ჯიუტობდა; მერმე მიიღეს ბრძნული მოძღვრება. მაგრამ... ოციოდე წლის შემდეგ მაინც ატყდა ომი! ატყდა ომი, ჩვეულებრივ, სულ უბრალო რამეზე!

დედოფალმა აღარ იცოდა, რა ექნა..!

შეიძლება, მეორე ბრძენის სიტყვა ჭეშმარიტება იყოსო. და შეეცადა შესაფერისი მოქმედება დაეწყო... მაგრამ მოულოდნელად ბედმა უმუხთლა და... მოკვდა...

და საკითხი ესე დღესაც კი გადაუწყვეტელია...

გერასიმე გაფრინდაშვილი.

შექმნა დედაკაცისა

არაბული ლეგენდა.

უხსოვარ დროს ღმერთმა ტვასტრმა შექმნა ქვეყანა და ადამიანი; გადაჰხედა თავის შექმნილს—რაღაცა აკლდა. მოინდომა დედაკაცის შექმნა, მაგრამ რით შეექმნა? ყველაფერი მამაკაცისთვის მოენდომებინა და მკვიდრი მასალა აღარ მოეპოვებოდა.

დაფიქრდა ღმერთი და სთქვა: უდედაკაცოდ კაცი ჩემს სახელს დაავიწყებსო. აიღო სიმრგვალე მთვარისა, მოქნილობა გველისა, მიზიდვა მცენარისა, სიწერწეტე ლერწმისა, ხავერდოვანება ყვავილებისა, სიმსუბუქე ფოთლისა, მზერა შველისა, გიჟური სიცელქე მზის სხივისა, დაუდგრომლობა ნიავ-ქარისა, შიში კურდღლისა, სიამაყე და თავმოყვარეობა ფარშევანგისა, სილბილე თივთიკისა, სიტკბო თაფლისა, სიმკაცრე ვეფხვისა, სიცხოველე ცეცხლისა და სიცივე ყინვისა, ყბედობა ტოროლასი და სინაზე მტრედისა.

ყველა ეს შეაერთა, შექმნა დედაკაცი და მამაკაცს მიჰგვარა.

რვა დღის შემდეგ ტვრასტთან მოვიდა მამაკაცი და მოახსენა:

მბრძანებელო, შენ რომ არსება მომიყვანე, ცხოვრებას მიწამლავს, მთელს დღეს ლაპარაკობს, დროს მართმევს, სტირის ტყუილ უბრალოზე, თვითონაც სწუხს, მეც მაწუხებს, ავადმყოფობს. მოვსულვარ გოხოვო, ის არსება უკანვე წაიყვანო და თავიდინ მომაშორო, მასთან ცხოვრება არ შემიძლიანო.

ტვარსმა დედაკაცი თავისთან წაიყვანა, მაგრამ რვა დღის შემდეგ მოვიდა ღმერთთან მამაკაცი და შესჩივლა:

ჩემო მბრძანებელო, ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეს აღარ ჰგავს, მომეწყინა, დავვობლდი, რაც ხან ის არსება თავიდან მოგაშორებინე; მარად მის ხმას და სიმღერას ვიგონებ, მისი ალერსი მწყურდება, მისი კოცნა და ჩაკონება მისი მზერა აღარ მავიწყდება... გთხოვ, უკანვე დამიბრუნოო.

ტვარსმა დაუბრუნა.

სამი დღე არც კი გასულიყო, რომ კვლავ მამაკაცი მოვიდა და მოახსენა:

მბრძანებელო, ეხლა კი დავრწმუნდი, რომ დედაკაცი უფრო მეტ მწუხარებას მაყენებს, ვიდრე სიხარულს; გემუდარები, მომაშორო, წაიყვა, აღარ მინდაო.

მაგრამ ტვარსმა მკაცრად უპასუხა:

— წადი და როგორც ჭკუა გიჭრიდეს, ისე მოიქეცი, მე ნუღარ მეცხადებიო.

— არ შემიძლიან მასთან ცხოვრება, უპასუხა ადამიანმა.

— არც ხომ უიმისოდ შეგიძლიან იცხოვრო?—მიუგო განრისხებულმა ტვარსმა.

ცრემლმორეულმა და გულნატკენმა ადამიანმა დაიკვნესა:

„ვაგლახ მე უბედურს! ჭეშმარიტად, არც მასთან და არც უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლიანო.

და თავჩაღუნული დაეშვა ცხოვრების დაღმართზე.

ქართველი გლეხის ჩივილი:
. . . . . ჩემი ცოდო ბრალია,
თუ მემრისაც ასე რიგად დამეხვია ეკალია!

დედების ნუგეში

ვილსონი. გულს ნუ გაიტეხ, ნოტას დავწერ და გავუგზავნი!

საბერძნეთი. რომელი ქუდი უფრო მომიხდება? გერმანელების თუ მოკავშირეების?



მასწავლებელი. მიჩვენე საზღვრები გერმანეთისა.

მოწაფე. დღეს ბრძოლის ველის მიმოხილვა არ წამიკითხავს!

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.